

დამოწმებანი:

გვერდწითელი 2006: გვერდწითელი, გ. „მოკავშირე თუ მეტოქე? კინოზეც და სხვაზეც“. წერილები. თბილისი: 2006.

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა. „ხოლერამ მიშველა“. *თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად*. ტ. 5. მოთხრობები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

კლდიაშვილი 1995: კლდიაშვილი დ. „მიქელა“. *თხზულებანი 2 ტომად*. ტ. 1. მოთხრობები. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1995.

ნურმანოვა 2012: ნურმანოვა, ჟ. „ლიტერატურისა და ფილმის შედარება, როგორც სამეცნიერო სფერო“. *სჯანი*, 13. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2012.

უელეკი ... 2010: უელეკი რ., უორენი ო. *ლიტერატურის თეორია*. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

შენგელაია 2013: შენგელაია ე. *კინორეჟისორი, თავისუფლების დღიურები*. რადიო თავისუფლება, თებერვალი 03, 2013, <https://www.radiotavisupleba.ge/a/liberty-diaries-eldar-shengelaia/24891868.html>

ხარბედია 2012: ხარბედია, მ. *დავით კლდიაშვილი-150*. სექტემბერი 09, 2012, <https://www.radiotavisupleba.ge/a/24702580.html>).

Nino Popiashvili

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Literature in the Pandemics: Global Space and the Paradigm of Migrant Literature*

Summary

Migrant literature is characterized by the expansion of borders, overcoming cultural isolation, and the scale of intercultural relations. Migration as a result of political, cultural, social, economic events of the 20th and 21st centuries has brought significant changes in the transformation of

* This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [N°DI-18-965].

identities, in the markers of cultural identity. One could say that a global space has been created in which, among other components, an important place is given to culture and literature. The characteristics of migrant literature and its features, independent, definite and indefinite contexts, the representation of individual and collective memories and other aspects are the object of special study.

Key words: Literature, Pandemic, Global Space, Migrant Literature.

ნინო პოპიაშვილი

საქართველო, თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურა პანდემიაში: გლობალური სივრცე და მიგრაციული ლიტერატურის პარადიგმა*

მიგრაციული ლიტერატურა ხასიათდება საზღვრების გაფართოებით, კულტურული იზოლაციის დამღვევითა და კულტურათშორისი ურთიერთობების მასშტაბურობით. მიგრაციამ, როგორც XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური მოვლენების შედეგმა, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა იდენტობათა ტრანსფორმაციაში, კულტურული იდენტობის მარკერებში. შეიძლება ითქვას, რომ შეიქმნა გლობალური სივრცე, სადაც სხვა შემადგენლებთან ერთად, კულტურასა და ლიტერატურას თავისი მნიშვნელოვანი ადგილი მიენიჭა. მიგრაციული ლიტერატურის მახასიათებლები და მისი თავისებურებები, დამოუკიდებელი, განსაზღვრული და განუსაზღვრელი კონტექსტები, ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერებების რეპრეზენტაცია და სხვა ასპექტები, საგანგებო შესწავლის ობიექტია.

პანდემიური ეპოქა, თავის მხრივ, ქმნის და აყალიბებს ახალ მარკერებს, ახალ სივრცეებს, სადაც ღირებულებათა გადაფასების

* კვლევა განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [№DI-18-965]“.

ფონზე მრავალი ფაქტორი განიცდის ცვლილებას. პანდემია, როგორც კრიზისი, ამკვიდრებს ახალ ღირებულებით ნიშნულებს. კრიზისის რამდენიმე განმარტებას შორის ყველაზე შესაბამისი პანდემიის პირობებში არის „გადამწყვეტი ხასიათის ცვლილება“. კრიზისი, როგორც ცვლილება, რომელსაც არსებითი, გადამწყვეტი, უმნიშვნელოვანესი როლი და მნიშვნელობა აქვს.

პანდემიურმა კრიზისმა შეცვალა როგორც აღქმის, ისე ხედვის ფოკუსები, მათ შორის, მიგრაციასთან დაკავშირებითაც. თუ მიგრაციას დავახასიათებთ, როგორც გაქცევას, წასვლას, გადაადგილებას, პანდემია ხასიათდება ჩაკეტილობით, დისტანციით, შემოსაზღვრულობით. მრავალფეროვნება შეიცვალა ერთფეროვნებით, გადაადგილება – უძრაობით. გაჩნდა მორალური დილემა ფიზიკურ საზღვრებთან დაკავშირებით, რაც სრულიად ჩანაცვლდა დიგიტალური საზღვრებით. ამასთან, პანდემია, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინდივიდუალური განვითარების ერთგვარი ადგილობრივი, ლოკალური ალტერნატივა, სადაც მიგრაციას, სივრცულ გადაადგილებას და მიგრაციულ პერსპექტივას სულ უფრო ნაკლები ადგილი რჩება განვითარებისათვის. ამასთან, მიგრაცია, როგორც ადამიანების კომუნიკაციის უძველესი და ფუნდამენტური, ისტორიული და თანამედროვე საქმიანობა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანთა ცხოვრების წესს, აზროვნებას, მსოფლმხედველობას. ტერმინები: გაქცევა, გადაადგილება, თავშესაფარი, ან კატეგორიები: გამევეებული, დევნილი, ლტოლვილი პოლიტიკური მნიშვნელობებით არის დატვირთული, თუმცა სოციალური, კულტუროლოგიური, პედაგოგიური პრაქტიკები გვაჩვენებს სხვადასხვა გამოცდილებას, სადაც მრავალი განსხვავება, ჰომოგენურობა და ჰეტეროგენურობა შეინიშნება (ოლტმერი 2017: 726).

პანდემიამ გავლენა იქონია მიგრაციული გამოცდილების მქონე ადამიანებზეც. მიგრაცია, როგორც პროცესი, არის საფრთხისაგან გაქცევის, თავის არიდების მოძრაობა. პანდემიის პირობებში კი იცვლება პარადიგმა: ჩაკეტვა, როგორც საფრთხე, გაქცევა, როგორც გადარჩენა პარადიგმით: გაქცევა, როგორც საფრთხე, ჩაკეტვა, როგორც გადარჩენა. პანდემიური ეპოქის ლიტერატურულ

პროცესებზე დაკვირვებისას მნიშვნელოვანია მიგრაციული ლიტერატურის თვისობრიობის ანალიზიც.

მიგრაციული ლიტერატურა იმ გამოცდილებებისა და განცდების ერთობლიობაა, რომელიც ერთდროულად რამდენიმე მოცემულობას ასახავს. „ მიგრაციული გამოცდილების მქონე ავტორები ყოველთვის რეალურ კულტურულ ცვლილებას ასახავენ ეთნიკურ და ნაციონალურ სემანტიკურ სივრცეებს შორის. მათი ბიოგრაფიები ტრანსნაციონალურია და ქმნის ჰიბრიდულ სივრცეებს კულტურებს შორის. ეს კულტურული ჰიბრიდულობა ხშირად გვხვდება ტექსტებში: ერთი მხრივ, მათი ლიტერატურული კავშირები აშკარად არის გამოკვეთილი „წარმოსახვით სამშობლოსთან“, ასახულა სამშობლოს სიმბოლური მდებარეობა სივრცესა და დროში, პეიზაჟები, ტრადიციები და მითები. ამასთან, იგრძნობა სამშობლოსთან დაკავშირებულ მდგომარეობასთან და მოტანილ იდენტობასთან დისტანცირებაც“ (ჰაუსბახერი 2008: 47).

მიგრაციული ლიტერატურის დახასიათებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ გლობალურმა მიგრაციულმა პროცესებმა შეცვალა ნაციონალური იდენტობის საკითხებზე დაკვირვების განზომილებები და შესძინა მას როგორც შიდა, ასევე გარედან დანახული სხვა ხედვა და გამოიკვეთა სოციოპოლიტიკური და სოციოკულტურული პერსპექტივები. „სხვადასხვა მენტალობის, რელიგიისა და კულტურის წარმომადგენელთა დაახლოების, იდენტობათა ტრანსფორმაციების შედეგად მოსალოდნელი იყო საერთო ფასეულობათა ჩამოყალიბება, თუმცა გლობალიზაციის კულტურულმა სპექტრმა გაამყდავნა პარადოქსული რეაქცია: უნიფიცირების საფრთხემ, მასკულტურაში ჩაკარგვის შიშმა აიძულა ხალხები (განსაკუთრებით მცირე ერები) მოეძიებინათ ისტორიული ფესვები, გაეხსენებინათ თავიანთი ენები და კულტურა, დაეცვათ საკუთარი იდენტობა. ცალკეულ შემთხვევებში ამან წარმოშვა და გაამწვავა ეთნოკონფლიქტები. გამოიკვეთა ნაციონალური იდენტობის სოციოკულტურული კონტექსტის უპირატესობა სოციოპოლიტიკურ კონტექსტთან შედარებით“ (კარტოზია... 2016: 8).

გლობალური სივრცის პარადიგმის ცვლილებამ პანდემიის პირობებში მრავალი დამატებითი ცვალებადობა გამოიწვია. ეს არის

ლოკალური და გლობალური ცვლილებები, ინდივიდუალური დღის წესრიგიდან დაწყებული, ნაციონალური და მსოფლიო ცვლილებების ჩათვლით, სადაც ადამიანის ცხოვრების წესისა და მთელი სამყაროს მოძრაობის ცვლილებები მოულოდნელი და დაუგეგმავი ფორმებით მიმდინარეობს, ამასთან, ეს ცვლილებები აღძრავს მრავალ შეკითხვას, ერთდროულად უძრაობას, ჩაკეტილობას და, მეორე მხრივ, კვლავაც ცვლილებების განვითარებას, არაპროგნოზირებულობას, რომელიც სტატიკურ მდგომარეობასთან ერთად, შინაგან წინააღმდეგობებში აქცევს ინდივიდსაც და საზოგადოებასაც. პანდემიურმა გარემომ მრავალი საკითხი ახლებურად წარმოადგინა. მათ შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი პრობლემები:

- პირადი თავისუფლების იძულებითი შეზღუდვა, პოსტულატებისა და სააზროვნო პარადიგმების ცვლილება და სხვა.

- ახალი, უცნობი, დავიწყებული გამოცდილება. გარკვეული პერსპექტივიდან ნათლად ჩანს, რომ პანდემიური ცხოვრება სრულიად გამორიცხავს და კარგავს იმ გამოცდილებას, რომელიც გარკვეულ სფეროებში, მათ შორის, ლიტერატურაში არსებობს და ახალ გამოცდილებას, ან უკვე დავიწყებულსა და ნაკლებად მნიშვნელოვან ჩვევას უთმობს ადგილს.

- ემოციური მდგომარეობა: ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ყოფიერების ემოციურად განცდა.

- პერსპექტივები, როგორც არის: – როგორ ხარ? როგორ არის? – სრულიად ახალ შინაარსსა და დატვირთვას იძენს, მათ შორის, გარდა ჯანმრთელობისა, ეს გულისხმობს ახალ გამოცდილებასთან ზიარებას, ჩაკეტილობას, ვირუსთან ფიზიკურ და ჰიპოთეტურ ბრძოლებს და სხვა.

- ცალკე უნდა აღინიშნოს დიგიტალური ელემენტის გაფართოება, როგორც პარადიგმული ცვლილება, რომელმაც ჩანაცვლა ყოფითი და სივრცული დამოკიდებულებები, ასევე, ინდივიდუალური, მიკრო და გლობალური, მაკრო ურთიერთობები, აღქმები და პერსპექტივები. მუდმივად ჩართული კამერა, სხვადასხვა სოციალური მედია, ჯგუფი, გზავნილი, გამოხმაურება, გაზიარება და სხვა აქტივობა მთლიანად იკავებს ისედაც შევსებულ დროს. სოციალური ქსელები, როგორც გადარჩენის ერთ-

ერთი გზა და, ამავდროულად, როგორც სხვა ალტერნატივის, ვირტუალური ცხოვრების ადგილი, ანაცვლებს ნამდვილს.

- ჰიპოთეტური და ნამდვილი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს გაუტოლდა და ერთმანეთს შეერწყა. გარდა დიგიტალური და ელექტრონული მედიების მასშტაბების გაფართოებისა, შეიზღუდა სოციალური კონტაქტები და მას დაემატა ახალი ელემენტები, როგორც არის ფიზიკური დისტანცია და ნიღაბი. ეს კი იქცა ადაპტირებულ ყოველდღიური ურთიერთობების რადიკალურად საპირისპირო გამოვლინებად: გაუცხოება, უნდობლობა, განსხვავება.

- სოციალური მედიების მძლავრი ზეგავლენა ფიზიკური დისტანცირების ფონზე სრულიად ცვლის ადამიანის მანამდე არსებულ მსოფლალქმას. ერთი მხრივ, ვირტუალურად ყველა კამერა ჩართულია, ყველა კარი ღიაა, ხოლო, მეორე მხრივ, ფიზიკურად, სავალდებულოა დისტანცირება და პირბადის ტარება. პარადოქსული ცვლილება-დაპირისპირება აყალიბებს ახალ ვალდებულებებს, ღიაობისა და შეზღუდვის განსხვავებულ პერსპექტივებს.

- ნორმა და ანტინორმა ადგილებს ცვლის და ახალ რეალობას ქმნის: საზოგადოებრივი სივრცეების ღიაობა და პირადი სივრცის დახურულობა შეიცვალა დისკურსით: პირადი სივრცის ღიაობა: ტრანსლირება ბინიდან, ჩართვები მისაღები ოთახის/კაბინეტის/სხვა ოთახის რომელიმე კუთხიდან და საზოგადოებრივი სივრცეების: უნივერსიტეტების, სკოლების, სამსახურებრივი ოთახების, შეხვედრების ოთახების, სათათბირო სივრცეებისა და სხვ. დახურულობა.

- აქტუალური გახდა, აგრეთვე, ვაქცინაციის თემა, რომელიც, თავის მხრივ, დაიყო ორ ძირითად ელემენტად, მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, სადაც ყოველი მათგანი, თავის მხრივ, არჩევანის ვალდებულებას გულისხმობდა, ასევე, დაპირისპირებისა და შედარების ელემენტებს.

- სამყაროს მომავლის პერსპექტივების განხილვა სხვადასხვა პერსპექტივიდან, რომელთა შორის შეიძლება დასახელდეს რელიგიური განწყობილებებისა და გავლენების ზრდა, აპოკალიფსური პროგნოზები, ასევე, სამყაროს განვითარების განსხვავებუ-

ლი მოდელი, როგორც არის ხელოვნური ინტელექტი, ელექტრონული პირი, ნაცვლად ფიზიკური პირისა და სხვ.

პარადიგმულ ცვლილებებთან ერთად აქტუალური ხდება დიგიტალური და ანალოგიური სივრცეების დაპირისპირება. ის, რასაც აკეთებს პროგრამირებული სისტემა, ალგორითმი და ის, რასაც აკეთებს ადამიანი საკუთარი ხელით, გონებით, სურვილით, ნებით, ემოციით. ამ დაპირისპირებაში იბადება შეკითხვებიც: „როგორ გვინდა ვიცხოვროთ? რა გვაკავშირებს ერთმანეთთან? რამდენია საკმარისი? მნიშვნელოვანია, რომ კაცობრიობამ მომავალშიც განაგრძოს საკუთარი თავის ანალოგიური აღქმა, როგორც სხეულისა და როგორც მოაზროვნისა“ (არმინი 2021: 22).

პანდემიური სივრცითი ცვლილებების ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში გარკვეულ ტრადიციას უკვე ქმნის. ჩაკეტილობის, განსხვავებული ვითარების, შიშისა და ტკივილის ფონი, ამავედროულად, იმედის, სიყვარულის, სიცოცხლის სურვილის თემები პანდემიაზე შექმნილ ნაწარმოებებში სხვადასხვა რაკურსით არის ასახული. სხვადასხვა დროს სამყარო რამდენჯერმე გაჩერდა. „ჩაკეტვა შეიძლება დაგეხმაროთ, უფრო ნათლად დაინახოთ, სამყაროს წინა გაჩერებები გამოიყენოთ სიღრმისეული ასახვისათვის და ახალი პერსპექტივებისათვის“ (გრაფი 2020). მნიშვნელოვანია, პანდემიური ცვლილებების ფონზე თანამედროვე პერსპექტივიდან წავიკითხოთ ლიტერატურის პარადიგმა. რა არის პანდემია? პანდემია, როგორც ცრუ თუ ნამდვილი მსოფლიო წესრიგის სამომავლო სიმბოლო? როგორი იქნება სამყარო პანდემიის შემდეგ? რა შეიცვლება და რა დარჩება? სამყარო გაჩერდა. რა მოხდება, როდესაც ის გააგრძელებს მსვლელობას?

მიგრაციულ ლიტერატურაზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ იგი განიცდის ორმაგ გავლენებს, როგორებიც არის ნაციონალური ლიტერატურა და ასევე, ინტერკულტურული კონტექსტი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიგრაციული გამოცდილების სირთულე, განსაკუთრებულობა და ინდივიდუალიზმი, სადაც სწორედ განსხვავებული კულტურებისა და წესრიგის შერწყმა ხდება, აყალიბებს მიგრაციული ლიტერატურის პერსპექტივას. ლიტერატურა არის ის გზა, რომელიც მიგრაციის სირთულესა და თავისებურებებს მხატვრულად, ხშირად მხატვრულ-დოკუმენტურად

გადმოგვეცმს. ეს არის იმ ავტორების ლიტერატურა, რომლებმაც ბევრი განიცადეს და ბევრი რამ ნახეს. გაუცხოება, განმარტოება, გარიყულობა და მსგავსი თემები ხშირად უნივერსალურ თემებად არის წარმოდგენილი მიგრაციულ ლიტერატურაში. ორ და ზოგჯერ მეტ ენას, ორ ქვეყანას, ორ კულტურას შორის აღმოჩენა მიგრაციული ლიტერატურის პარადიგმის მიხედვით არის ამ ენებს, ქვეყნებსა და კულტურებს შორის დაკარგვა, განსხვავებული ალგორითმის, სისტემის, მოცემულობის აღმოჩენა. ენებს შორის დაკარგულობა ახალი, შინაგანი ენის, საკუთარი სათქმელის, როგორც სემანტიკური ნიშნების პერსპექტივას წარმოშობს, რომლისგანაც მიგრაციული ლიტერატურა იქმნება. ეს ენა არ არის მხოლოდ მშობლიური ენა, ან მიმღები ქვეყნის სახელმწიფო ენა, რადგან მიგრანტისათვის არცერთი ენა არ არის სრულფასოვანი, ნამდვილი სახლი. ენები შეიძლება იყოს მხოლოდ დროებითი თავშესაფარი. მშობლიურმა ენამ, სიტყვებმა და გრძნობებმა უკვე დაკარგეს თავისი დიდი და ფართო მნიშვნელობა, ხოლო ახალი ენა, უცხო ენა, მეორე ენა, ბოლომდე ვერ იქცევა სრულფასოვან სახლად. მიგრაციული ლიტერატურისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ენებს შორის არჩევანი, ხოლო, მეორე მხრივ, ენათა შერევის მოცემულობა. საკუთარ თავზე ორიენტირება არის მიგრაციული ლიტერატურის ერთ-ერთი თვისება. „თვითიდენტიფიკაცია, როგორც პრობლემა, თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში თვითგამოხატვის ერთ-ერთი ნიშანია. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი იდენტობის შეცნობის გრძელ და რთულ გზას მრავალი ავტორი სწორედ ლიტერატურულ ტექსტებთან ერთად ეძიებს“ (პოპიაშვილი 2011: 37-38). მიგრაციული ლიტერატურა მძაფრად ასახავს კონფლიქტებს, პოლიტიკურ და სხვა ტიპის დაპირისპირებებს, რომელიც მიგრაციის მიზეზსა და საფუძველს წარმოადგენს. მიმღები ქვეყნისათვის ეს გამოცდილება ხშირ შემთხვევაში უცხო და უცნობია, ისევე როგორც ის კულტურული განსხვავებულობები, რომლებსაც მიგრანტი მუდმივად ხედავს და გრძნობს. თუ მიგრანტთა პირველი თაობისათვის ეს განცდებია მნიშვნელოვანი, მეორე, მესამე თაობები იწყებენ ფესვების ძიებას, მეხსიერების რეკონსტრუირებას, იდენტობის ძიებას. კულტურის ტრანზიტულობა, ბუნებრივი მულტიკულტურალიზმი მიგრაცი-

ულ ლიტერატურაში განსაკუთრებულ პერსპექტივას ქმნის. ცვლადობის ლიტერატურა, რომელიც არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ადგილთან და კონკრეტულ კულტურასთან, აყალიბებს ლიტერატურის ახალ მოდელს. სხვადასხვა პერსპექტივიდან მიგრაციული ლიტერატურა, როგორც პოეტიკისა და პოლიტიკის ერთგვარი ნაერთი, განსხვავებული ტერმინებით არის აღნიშნული: გასტარბაიტერების ლიტერატურა, ემიგრანტებისა და იმიგრანტების ლიტერატურა, უცხოელების ლიტერატურა, მიგრანტების ლიტერატურა, სტუმრების ლიტერატურა, შრომითი მიგრანტების ლიტერატურა, უმცირესობების ლიტერატურა, ინტერკულტურული ლიტერატურა, მულტიკულტურული ლიტერატურა, მრავალკულტურული ლიტერატურა, ტრანსკულტურული ლიტერატურა, ლიტერატურა ინტერკულტურულ კონტექსტში, შუალედური სივრცეების ლიტერატურა, უცხოელების ლიტერატურა და სხვა. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ მიგრაციულ ლიტერატურას უკვე გააჩნია თავისი მუდმივი ხასიათი და ძირითადი მახასიათებლები. „ტრანსკულტურული ლიტერატურა, რომელსაც მიგრაცია ქმნის, არ შეიძლება ფილოლოგიის განვითარებისათვის უყურადღებოდ დარჩეს, რადგან მიგრაციული ლიტერატურის განვითარებასთან ერთად ახალი კითხვები ჩნდება ცალკეული ეროვნული ლიტერატურების „ცენტრებთან“ დაკავშირებით, რომლებიც, თავის მხრივ, დაფუძნებულია ლიტერატურულ კანონსა და განსხვავებაზე“ (ჰაუსბახერი 2008: 48).

პანდემიური მდგომარეობა ახალი წესრიგითა და დამატებითი მახასიათებლით ტვირთავს მიგრაციულ ლიტერატურას. მისი თვისობრიობა, რომელიც, როგორც აღინიშნა, არსებითად სოციალურ, ფსიქო-ემოციურ და პოლიტიკურ თემებს ეფუძნება, ამავდროულად, პირადი გამოცდილებიდან გამომდინარეობს, ეხება სივრცულ საკითხებს, მათ შორის, შუალედური სივრცის თემას, მეხსიერების ფუნქციებსა და როლს და სხვა. პანდემიის პირობებში გლობალური სივრცის ცვალებადობამ მიგრაციული ლიტერატურა დამატებითი ასპექტებით შეავსო. ორი სამშობლოს თემა პანდემიაში აქტიური გახდა. ამასთან, იცვლება პარადიგმული სახეები: ჩაკეტილობისა და გაქცევის სიმბოლოები და სემანტიკური მახასიათებლები.

დამოწმებანი:

არმინი 2021: Armin, C. *Nahc der Pandemie: Analog und/oder Digita?* Die Reihe Opuscula N 150. Maecenata Institut, Berlin 2021.

ვერტი 2014: Ewert, M. *Fremdheit, Kulturkritik, Alterität—Georg Forster als interkultureller Autor avant la letter.* Georg-Forster Studien XIX: Georg Forster als interkultureller Autor (2014): 109.

გრაფი 2020: Graf, D. *Die Krankheit der Anderen, Republik*, 04. 04. 2020 <https://www.republik.ch/2020/04/04/die-krankheit-der-anderen>

ჰაუსბახერი 2008: Hausbacher, E. Poetik Der Migration. Transnationale Literatur Zeitgenössischer Russischer Und Kroatischer Autoren. Wiener Slavistisches Jahrbuch, vol. 54, [Harrassowitz Verlag, Austrian Academy of Sciences Press], 2008, pp. 47–62, <http://www.jstor.org/stable/24750300>.

კარტოზია ... 2016: კარტოზია ალ., ჩიტაური ნ., შამანაძე შ., პოპიაშვილი ნ., მოდებაძე ი., გაგოშაშვილი ნ., *ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016.

ოლტმერი 2017: Oltmer, J. Migration Aufgrund von Gewalt: Hintergründe, Bedingungen Und Folgen. *Sozialer Fortschritt*, vol. 66, no. 11, Duncker & Humblot GmbH, 2017, pp. 725–40, <http://www.jstor.org/stable/45018291>

პოპიაშვილი 2011: პოპიაშვილი ნ. *ქართული პოსტაპოკალიფსიკური ლიტერატურა კულტურული იდენტობის დისკურსში*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011.